საგადახდო მომსახურების
წესები და პირობები
(ექვაირინგის მომსახურების სუბ-ექვაირერის მეშვეობით გაწევის შესახებ)

წინამდებარე საგადახდო მომსახურების წესები და პირობები (შემდგომში - წესები და პირობები) შედგენილია შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-ს (ს/ნ 405546075; მისამართი: თბილისი, არაყიშვილის 3, სართული 5, ოფისი 73; info@unitedpayment.ge ვებ-გვერდის მისამართი: www.unitedpayment.ge) მიერ, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საგადახდო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის საფუძველზე (რეგისტრაციის თარიღი: 14 მარტი, 2023; რეგისტრაციის ნომერი: 0098-2904). პროვაიდერის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge). **ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი პროვაიდერის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.**

წესები და პირობები შესასრულებლად სავალდებულოა ექვაირინგის მომსახურების სუბ-ექვაირერის მეშვეობით საგადახდო მომსახურებით სარგებლობის დროს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წესებსა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

გადამხდელი - პირი, რომელსაც სურს ელექტრონული კომერციის მეშვეობით სავაჭრო/მომსახურეიბს ობიექტში განახორციელოს გადახდა საქონლის ან/და მომსახურების შეძენის მიზნით.

მიმღები - სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, რომლისთვისაც გამიზნულია ექვაირინგის (სუბ-ექვაირინგის) შედეგად გადამხდელის მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების მიღება.

მომხმარებელი - გადამხდელი ან/და მიმღები.

პროვაიდერი - შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-ს (ს/ნ 405546075; მისამართი: თბილისი, არაყიშვილის 3, სართული 5, ოფისი 73; info@unitedpayment.ge ვებ-გვერდის მისამართი: www.unitedpayment.ge) მიერ, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საგადახდო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის საფუძველზე (რეგისტრაციის თარიღი: 14 მარტი, 2023; რეგისტრაციის ნომერი: 0098-2904). პროვაიდერის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge). ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი პროვაიდერის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

1.2. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია წესებისა და პირობებისგან განსხვავებული განმარტება, უპირატესობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განმარტებას.

მუხლი 2. პროვაიდერის საგადახდო მომსახურება

2.1. პროვაიდერი წარმოადგენს სუბ-ექვაირერს. ექვაირერს წარმოადგენს სს საქართველოს ბანკი.

2.2. პროვაიდერის ფუნქციაა დაამუშაოს გადამხდელის მიერ ელექტრონული კომერციის მოდულის მეშვეობით ინიცირებული გადახდა ექვაირერთან ერთად.
2.3. პროვაიდერი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის წინაშე, თუკი მას არ მიუღია ან/და არასწორი დავალება მიიღო გადამხდელისგან ან/და ექვაირერისგან.

მუხლი 3. მომსახურების ტარიფები
3.1. გადამხდელი მომსახურების ტარიფის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას იღებს თანხის გადახდის დროს, ელექტრონული კომერციის მოდულით.
3.2. პროვაიდერი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლისათვის მომსახურების ტარიფის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე ან/და მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. აღნიშნულს უზრუნველყოფს ექვაირერი.

მუხლი 4. მომსახურების ვადები
4.1. გადამხდელი ინფორმაციას გადახდის განხორციელების თაობაზე იღებს მყისიერად, ელექტრონული კომერციის მოდულის მეშვეობით.
4.2. პროვაიდერი არ აგებს პასუხს მომსახურების ვადების დაცვაზე, თუკი ის გამოწვეულია კანონმდებლობის, ექვაირერის ან/და საკუთარი შიდა პოლიტიკის, პროცედურების და ინსტრუქციებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით.

მუხლი 5. გამოსაყენებელი სამართალი. დავების გადაწყვეტა
5.1. წესებისა და პირობების მიმართ ვრცელდება საქართველოს სამართალი.
5.2. წესებისა და პირობებიდან გამომდინარე დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 6. ფულის გათეთრების და ტერორიზმის აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობა
6.1. პროვაიდერი უზრუნველყოფს თითოეული ტრანზაქციის შემოწმებას და მის შესაბამისობას ფულის გათეთრების და ტერორიზმის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობასთან. ამ მიზნით, პროვაიდერი უფლებამოსილია განახორციელოს გადამხდელის ან/და მიმღების პერსონალური მონაცემების დამუშავება, გადამოწმება, თითოეული ტრანზაქციის შესწავლა.
6.2. პროვაიდერი უფლებამოსილია შეაჩეროს, გააუქმოს, არ განახორციელოს მომსახურება, თუ საგადახდო მომსახურების განხორციელება ეწინააღმდეგება პროვაიდერის შიდა პოლიტიკას, პროცედურებს და ინსტრუქციებს. პროვაიდერი არ არის ვალდებული ასეთ შემთხვევაში დაუსაბუთოს მომხმარებელს პროვაიდერის გადაწყვეტილება.

მუხლი 7. პრეტენზიის და საჩივრის განხილვა
7.1. მომხმარებელს უფლება აქვს პროვაიდერს წარუდგინოს საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივარი.
7.2. საჩივარი შესაძლებელია პროვაიდერს წარედგინოს ზეპირი (მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციის გზით), ელექტრონული ან/და წერილობითი ფორმით.
7.3. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ ზეპირი ფორმით დაფიქსირებული საჩივრით გათვალისწინებული პრობლემა ვერ მოგვარდება ზეპირი კომუნიკაციის დროს, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს საჩივარი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ამასთან, აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა არ გულისხმობს ზეპირი ფორმით წარდგენილი საჩივრის განუხილველობას პროვაიდერის

მიერ. პროვაიდერს უფლება აქვს შესთავაზოს მომხმარებელს ზეპირი საჩივრის დაფიქსირება აუდიოჩანაწერის სახით, რაზეც მომხმარებელი თანხმობას აცხადებს.
7.4. პროვაიდერი მომხმარებლის მიერ წარდგენილ საჩივარს განიხილავს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში შეუძლებელია საჩივრით გათვალისწინებული საკითხის გადაჭრა, პროვაიდერი შეატყობინებს მომხმარებელს საჩივრის განხილვის დასაბუთებულ ვადას აღნიშნული 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
7.5. საჩივრის წარდგენა წერილობითი ფორმით შესაძლებელია პროვაიდერის მისამართზე: თბილისი, არაყიშვილის 3, სართული 5, ოფისი 73.
7.6. საჩივრის წარდგენა ელექტრონული ფორმით შესაძლებელია პროვაიდერის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@unitedpayment.ge ან პროვაიდერის სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო არხის საშუალებით, მათ შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით.
7.7. საჩივრის წარდგენა პროვაიდერისათვის და მისი განხილვა ხორციელდება უსასყიდლოდ.
7.8. იმ შემთხვევაში თუ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ექვაირერი ბანკი ან/და პროვაიდერი არ დააკმაყოფილებს (მათ შორის, პასუხის გაუცემლობით) ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებულ ექვიარერი ბანკისთვის ან/და პროვაიდერისათვის წარდგენილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საჩივარს - სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ან/და გადამხდელი, იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ 2023 წლის 26 ივლისის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესით“ დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება ექნება მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომში – „კომისია“) მატერიალურად ან ელექტრონულად წარდგენილი საჩივრით. კომისია წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დამოუკიდებელ ორგანოს. კომისიის საქმიანობის წესს, მათ შორის საჩივრის წარდგენის წესსა და პროცედურას დეტალურად შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგი დოკუმენტით: საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ 2023 წლის 26 ივლისის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“.

მუხლი 8. პერსონალური მონაცემები
8.1. მომხმარებელი ადასტურებს მის თანხმობას, რომ პროვაიდერმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები, კერძოდ:

> სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, მოქალაქეობა, სქესი, ფოტოსურათი, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, საქმიანობა, ოჯახური მდგომარეობა, ადგილმდებარეობა, განათლება, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, ხელმოწერა, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი, შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, მზა ჩანაწერი (cookies), ფულადი სახსრების გადარიცხვის/გაგზავნის/ჩარიცხვის/მიღების შესახებ ინფორმაცია, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ID ბარათი) ან პასპორტის ნომერი და აღნიშნული დოკუმენტის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა, დოკუმენტის გამცემი ორგანო.

8.2. პროვაიდერს უფლება აქვს პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საგადახდო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

უფლება-მოვალეობების შესრულების მიზნით, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით. მომხმარებელი ეთანხმება, რომ პროვაიდერმა განახორციელოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რა დროსაც, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება უარი თქვას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე იგივე საშუალებით, რა საშუალებითაც მიიღებს შეტყობინებას პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების დროს.
8.3. მომხმარებლისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდება პროვაიდერის მიერ ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პროვაიდერი განახორციელებს მონაცემების დეპერსონალიზაციას. პროვაიდერს უფლება აქვს განახორციელოს არაიდენტიფიცირებული მონაცემების შენახვა.
8.4. მომხმარებლისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ პროვაიდერისათვის გადაცემული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია გადაეცეს მესამე პირებს, მათ შორის, სს სილქნეტს (ს/ნ 204566978), პროვაიდერის უფლებამოსილ წარმომადგენელს, პროვაიდერის დამფუძნებელ სუბიექტს, მათ შორის, პროვაიდერს უფლება აქვს პერსონალური მონაცემები გადასცეს საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, თურქეთში.

მუხლი 9. წესების და პირობების ძალაში შესვლა. ცვლილება
9.1. წინამდებარე წესები და პირობები ძალაშია მასზე ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული კომერციის მოდულში ელექტრონული ფორმით დათანხმების გზით.
9.2. წინამდებარე წესების და პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს პროვაიდერის მიერ ცალმხრივად.
9.3. ცვლილება ხელმისაწვდომი იქნება პროვაიდერის ვებ-გვერდზე. ცვლილება შესაძლებელია აისახოს დამოუკიდებელი ტექსტის სახით, ან/და განთავსდეს ინტეგრირებულად ძირითად ტექსტთან ერთად.
9.4. ცვლილება ძალაში შედის პროვაიდერის მიერ მომხმარებლისათვის შეტყობინებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის ამ წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას (მომსახურებებს), რა დროსაც ცვლილების ამოქმედების ვადა განისაზღვრება პროვაიდერის მიერ.

მუხლი 10. ბანკის უფლებამოსილება
საგადახდო მომსახურების მონაწილეები ადასტურებენ, რომ ექვაირერი ბანკი უფლებამოსილია:
10.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, პროვაიდერის ან/და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის დამატებითი თანხმობის ან/და მისთვის შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს დააწესოს ან/და შეცვალოს:
10.1.1. ბარათის მფლობელის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ნებისმიერი სახის მომსახურების საკომისიო;
10.1.2. თანხობრივი ლიმიტი საბარათე ოპერაციისთვის, ჩარიცხვის ოპერაციისთვის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) შესრულებული/შესასრულებელი საბარათე ოპერაციებისთვის, ჩარიცხვის ოპერაციებისთვის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის. ამასთან, ბანკი

უფლებამოსილია არ განახორციელოს მომსახურება იმ საბარათე ოპერაციისთვის, ჩარიცხვის ოპერაციებისთვის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის რომლებიც აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ თანხობრივ ლიმიტს;

10.1.3. შესაბამისი გარემოებების გამოკვლევამდე შეაჩეროს ოპერაცია თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საბარათე ოპერაცია, ჩარიცხვის ოპერაცია ან/და რეფანდის (Refund) ოპერაცია არის საეჭვო, ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ან/და საგადახდო სისტემების მოთხოვნებს;

10.1.4. ტექნიკური ხარვეზ(ებ)ის წარმოშობის გამო ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების შეუძლებლობისას, ხარვეზის აღმოფხვრამდე შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება;

10.1.5. ის თანხები, რომლებიც საგადახდო სისტემების წესებისა ან/და კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება გახდეს დავის საგანი ან/და უკვე წარმოადგენს დავის საგანს, ასევე, სადავო თანხასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი/გადასახდელი: (ა) არ გადაუხადოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს (გაქვითოს); (ბ) ჩამოჭრას მომდევნო ანგარიშსწორების თანხიდან; (გ) დაბლოკოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ნებისმიერ ანგარიშზე; ან/და (დ) ჩამოწეროს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ნებისმიერი ანგარიშიდან. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ბანკი, ასევე უფლებამოსილია სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ნებისმიერ ანგარიშზე დაუშვას არასანქცირებული ლიმიტი ბანკში დადგენილი სტანდარტული პირობების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს იმ მომენტისათვის არ გააჩნია ანგარიშებზე შესაბამისი სახსრები და ამ შემთხვევაში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა სრულად ეკისრება სავაჭრო/მომსახურების ობიექტს;

10.1.6. სავაჭრო/მომსახურების ობიექტისგან მიიღოს ბანკის საკომისიო, ძირითადი ხელშეკრულებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

10.1.7. განიხილოს საბარათე ოპერაციასთან დაკავშირებული დავები, საგადახდო სისტემების წესებისა და კანონმდებლობის მიხედვით და ბანკის კლიენტთა პრეტენზიების მართვის პროცედურის შესაბამისად (რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: https://conditions.bog.ge/ge/claims);

10.1.8. შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვაირინგის მომსახურების გაწევა შესაბამისი კონკრეტული სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ჭრილში.

10.1.9. შეწყვიტოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვაირინგის მომსახურების გაწევა შესაბამისი კონკრეტული სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ჭრილში.

10.1.10. ექვაირინგის მომსახურებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს მესამე პირს (შემდგომში - ქვე-კონტრაქტორი), რის ფარგლებშიც, ბანკი უფლებამოსილია აღნიშნულ ქვე-კონტრაქტორს გადასცეს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემი, ექვაირინგის მომსახურების ფარგლებში მათი შენახვისა და დამუშავების მიზნებისთვის;

10.1.11. მხარეები აქვე აღიარებენ, ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ: თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტზე გავრცელდება, გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - სანქციების ორგანო) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა ან/და აკრძალვა ან/და თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ან/და პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს, ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, მოხვდება კონკრეტული სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია სანქციების ორგანოს მიერ, ბანკი უფლებამოსილია: (i) იმოქმედოს სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და (ii) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, დახუროს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ანგარიშები ბანკში ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და დავალების შესრულებაზე. ამასთან, ბანკის მოქმედება სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის მომსახურების შეწყვეტა, შეჩერება ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, არ ჩაითვლება ბანკის მიერ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და ბანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის მომსახურების შეწყვეტისთვის, შეჩერებისთვის ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმისთვის. სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ნებისმიერი ისეთი გარემოების ან/და მოვლენის არსებობის/დადგომის შესახებ, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს სანქციების ორგანოს ნებისმიერი სანქციის ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის ან/და

აკრძალვის, სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ან/და იმ პირის მიერ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს, დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა ან/და რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ან/და იმ პირის, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს, სანქციების ორგანოს მიერ გამოცემულ/წარმოებული ნებისმიერი სანქცირებული პირების სიაში შეტანა/შეყვანა.

10.1.12. სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ ექვაირინგის მომსახურების ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საქმიანობის სფერო(ებ)სა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ფაქტობრივ საქმიანობის სფერო(ებ)ს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეცვალოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის სფერო(ები) ხელშეკრულების ფარგლებში, რის შესახებაც ბანკი გაუგზავნის სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შესაბამის შეტყობინებას, ექვაირინგის მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის არხების მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებას, სავაჭრო/მომსახურების ობიექტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს აღნიშნული საკითხის მოლაპარაკების გზით გადასაჭრელად.

10.1.13. სავაჭრო/მომსახურების ობიექტის სპეციფიკური საქმიანობის სფეროში (მათ შორის, შეუზღუდავად, აზარტული თამაშების სფეროში) წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ექვაირინგის მომსახურების გაწევისას, იხელმძღვანელოს კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით, რაც მათ შორის, შეუზღუდავად, მოიცავს, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ან/და პროვაიდერის ან/და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო(ები)სთვის მიწოდების უფლებამოსილებას.